სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია ჯესსის სტრატეგიული განვითარების გეგმა
2022 – 2029 წწ

სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია ჯესსის (შემდეგში სკოლა) სტარტეგიული გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან, პასუხობს სკოლის სტარტეგიულ მიზნებს და კონკრეტული ამოცანების გადაჭრას ემსახურება.

სკოლა სტრატეგიულ მიზნებს განასზღვრავს 2022 – 2029 წლისათვის წარმოდგენილ დოკუმენტში ასახულია სკოლის გრძელვადიანი მიზნები და ამოცანები, მიზნების მიღწევის გზები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი/პირები, დასახული მიზნების რეალიზების ვადები, შესაბამისი აქტივობები და შედეგები.

სამოქმედო გეგმა გათვლილი და გაწერილია 7 წლიან პერიოდზე. მისი გადახედვა ხდება საჭიროებისამებრ.

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში სკოლა იცავს ძირითად პრინციპებს:

- გუნდური მუშაობა
- თანაბარმონაწილეობა
- გამჭვირვალობა

სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის შემუშავების პროცესის წარმატებით წარმართვის მიზნით, დირექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის პროექტის შემუშავებასა და განხორციელებაზე. აღნიშნული სამუშაო ჯგუფში ერთვება სკოლის სტრუქტრული ერთეულები/თანამშრომლები. ჯგუფი კვლევების საფუძველზე ადგენს სკოლის საჭიროებებს და მათი ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს განვითარების სტრატეგიულ გეგმას.

სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის შემუშავების პროცესის წარმართვაზე პასუხისმგებელია სკოლის

დირექტორი. პროცესის ადმინისტრირებას ახდენს სკოლის დირექტორთა საბჭო.

სკოლის მისია

სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია - ჯესსის მისიაა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამის საგანმანათლებლო გარემოში, უცხო ენების , საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მათემატიკურ-ლოგიკური აზროვნების განმავითარებელი სასწავლო პროგრამებითა და ინოვაციური მიდგომებით, აღზარდოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღირებულებების მქონე, უახლეს ტექნოლოგიების გამოყენებასა და თვითგანვითარებაზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი პიროვნება.

სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.

სკოლის განვითარების შვიდწლიან გეგმის ძირითადი სტრატეგიული მიმართულებები

პოზიტიური სასწავლო გარემო

სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილ იქნას პოზიტიური სასწავლო გარემო, რომელიც შექმნის ოპტიმალურ პირობებს თითოეული მოსწავლის ნიჭისა და უნარის სრულყოფილად გამოსავლენად. პოზიტიური სასწავლო გარემო გულისხმობს მეგობრულ, კეთილგანწყობილ და უსაფრთხო ატმოსფეროს, სადაც მნიშვნელოვანია მოსწავლის მიერ მიღებული შედეგი, რომელიც მიიღწევა კვალიფიციური მასწავლებლების მიერ მოსწავლისათვის თანამედროვე ტექნოლოგიებითა და მეთოდებით მიწოდებული ინფორმაციის ცოდნად გარდაქმნის გზით. პოზიტიური სასწავლო გარემოს ცნების განუყოფელი ნაწილია ურთიერთთანამშრომლობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპებზე დამყარებული ურთიერთობები საგანმანათლებლო პროცესში ჩართულ ყველა რგოლს შორის. ასევე, მნიშვნელოვანია, ინფრასტრუქტურის მუდმივი განვითარება.

კვალიფიციური კადრები

იმისთვის რომ სკოლამ უზრუნველყოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სწავლება, აუცილებელია კვალიფიციური კადრების მოზიდვა და მათი შენარჩუნება, ზრუნვა მასწავლებლებისა და სხვა თანამშრომლების პროფესიულ განვითარებაზე, რაც ყველაზე ეფექტური მაშინაა, როდესაც ის უწყვეტ პროცესს წარმოადგენს. მომდევნო 6 წლის განმავლობაში ვგეგმავთ ტრენინგებს,მათ შორის საზღვარგარეთ, აქტივობებს, შეხვედრებს, სადაც მოხდება გამოცდილებისა და ცოდნის, ასევე, თანამედროვე სწავლების სტრატეგიების ურთიერთგაზიარება.

ტექნოლოგიები, სწავლების თანამედროვე მეთოდები

სკოლა აქტიურად გეგმავს სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების და თანამედროვე სწავლების სტრატეგიების/მიდგომების გამოყენებას. აღნიშნული მიზნით უზრუნველყოფილი იქნება მატერიალური რესურსი, რომელიც მუდმივად განახლდება. ასევე, სასწავლო პროგრამებში იგეგმება ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინტეგრირება.

გარდა ამისა, სკოლის მიერ გადამზადებული მასწავლებლები შეძლებენ აქტიურად გამოიყენონ ის მეთოდები და ტექნოლოგიები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში შემოქმედებითობის, რეალურ ცხოვრებაში პრობლემის გადაჭრის გზების მოძიებას, თანამშრომლობის, კრიტიკული აზროვნებისა და სხვა აუცილებელი უნარების განვითარებას.ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლის ამოცანაა მომდევნო 6 წლის განმავლობაში წარმატებულად დანერგოს სწავლების თანამედროვე მეთოდები, სრულფასოვნად გამოიყენოს ხელმისაწვდომი და თავად შექმნას ინტერნეტ სასწავლო რესურსები.

სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება და მატერიალურ -ტექნიკური ბაზის სრულყოფა

სკოლა მუდმივად ზრუნავს სასწავლო გარემოს, სკოლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას და სრულყოფას.

აღნიშნული მიზნით, სისტემატურად ხდება სასკოლო რესურსის, საჭიროებისამებრ განახლება და შეძენა.

სკოლის ძლიერი მხარეები

- უსაფრთხო სასკოლო-სასწავლო გარემო;
- კვალიფიციური ადმინისტრაციული პერსონალი;
- მრავალფეროვანი დამატებითი საგანმნათლებლო და სააღმზრდელო მომსახურეობა;

- თანამშრომლობითი გარემო;
- ტოლერანტობა
- მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები;
- სკოლის ინფრასტრუქტურა;კვალიფიციური მასწავლებლები;
- სოციალური პასუხისმგებლობა;
- პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული თანამშრომლები;
- მრავალფეროვანი წიგნადი ფონდი;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების ძლიერი ინფრასტრუქტურა;
- სასწავლო პროგრამები;
- საერთაშორისო კავშირები

ძლიერი მხარეები

ოქროს რეიტინგის პირველი ადგილის მფლობელი

- ნაციონალური ბიზნეს – რეიტინგების კავშირმა, რომლის მიზანია ნაციონალურ დონეზე ბიზნეს რეიტინგების შექმნის ძირითადი საერთაშორისო პრინციპების კონტროლი და მხარდაჭერა, სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია –ჯესს 2016 წელს მიანიჭა ბიზნეს ორგანიზაციებს შორის ოქროს რეიტინგში – პირველი ადგილი.

სწორად განსაზღვრული სკოლის მისია

- სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია-ჯესსის მისიაა, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამის საგანმანათლებლო გარემოში აღზარდოს ინგლისური და ესპანური ენების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მათემატიკურ - ლოგიკური აზროვნების

განმავითარებელი, თანამედროვე სასწავლო პროგრამებითა და ინოვაციური მიდგომებით, ქართული და მსოფლიო კულტურული ღირებულებების მატარებელი, უახლეს ტექნოლოგიების გამოყენებასა და თვითგანვითარებაზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი პიროვნება.

ინტერაქტიული სწავლების მეთოდების გამოყენება სასწავლო პროცესში – ინტეგრირებული გაკვეთილები:

- გეოგრაფია – ბიოლოგია ,,ბიომრავალფეროვნება“ VII კლასი
- გეოგრაფია – ბიოლოგია ,,მსოფლიოში გავრცელებული დაავადებები“ X კლასი
- ქიმია – მათემატიკა ,,ამოცანების ამოხსნა ხსნარებზე, ორუცნობიან განტოლების სისტემების საშუალებით“
- ქიმია – ფიზიკა ,,ელექტროლიზი“. X კლასი
- ინგლისური ენა – სამოქალაქო განათლება ,, რა არის ბედნიერება“ IX კლასი
- მათემატიკა – ისტორია ,,ისტორიული დოკუმენტების შერწყმა ტექნიკურ საშუალებებთან“ . X კლასი
- ისტორია – ხელოვნება ,, იმიტირებული არქეოლოგიური გათხრები სამთავროს ველზე „ IX კლასი.
- ისტორია –გეოგრაფია ,, დაცული ტერიტორიების კვლევა, ისტორიულ ფაქტებთან შერწყმით“ . IXკლასი
- ისტორია – ფიზიკა ,,ჰუმანიზმი და აღორძინება“. XI კლასი
- ისტორია – გეოგრაფია ,,პრეისტორიული ხანა“ . VII კლასი
- ისტორია – ქართული ,, ხანი უნდობარი და ქართული მწერლობა “. VIII კლასი
- ქართული – გეოგრაფია ,,მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები და გეოგრაფია“ VIII კლასი

მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, მათი შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლენისათვის, გამჭოლი კომპეტენციების მიხედვით უნარების განვითარებისათვის სასწავლო, სკოლის, რეგიონალური, საერთაშორისო პროეტების განხრციელება; ოლიმპიადებში მონაწილეობა; მოსწავლეებისა და მასწავლებლების მიერ ერთობლივად სასწავლო რესურსების შექმნა; კვლევების განხორციელება.

<u>სასწავლო პროექტები:</u>

- ,,დედამიწა ჩვენი სახლია'' II კლასი

- ,,ჯანსაღი ცხოვრების წესი'' VIII კლასი
- „ყურსასმენების ბუმი'' VII კლასი
- „ყვავილების ფესტივალი'' II –X კლასი
- „მსოფლიო მოგზაურები'' VII კლასი (ინგლისურ ენაზე)
- „დედამიწის დღე'' VII კლასი
- „მსოფლიო და ლიტერატურა'' VIII კლასი
- „საქართველო და ჩინეთი'' VIIIკლასი (ინგლისურ ენაზე)
- „ეკო ტურნირი'' IX კლასი
- „გაეროს სხდომა'' VIII კლასი
- „ხანი უნდობარი'' VIIIკლასი
- „პიროვნება და სტერეოტიპები'' VIIIკლასი
- „კაცო გიყვარდეს'' (მინი სპექტაკლი.) V კლასი
- ,,ლიტერატურული სასამართლო – სტუმარ მასპინძელის მიხედვით'' VIIკლასი
- ,,გმირი ქალები'' IXკლასი
- „დამოუკიდებელი საქართველოს სისხლიანი ისტორია'' VIIIკლასი
- „კბილის პასტის დამცავი თვისებების გამოვლენა''. IXკლასი
- ,,საქართველოს დაცული ტერიტორიები“ . სასწავლო ექსკურსია. IX კლასი
- ,,მებაღეობა'' (ინგლისურ ენაზე) III კლასი
- ,,chat show'' III კლასი
- ,,გაიცანით საქართველო'' (ინგლისურ ენაზე) IX კლასები
- ,,WORD'' S LARGEST LESSON'' VIII კლასი
- ,,გამოცანების კონკურსი'' (ინგლისურ ენაზე) VII კლასი

- ,, ოქროს კვეთა'' VIII – VII კლასები
- ,,კითხვის დღე – შეხვედრა მწერალთან''. II კლასები
- ,,მე ვქმნი თეატრს''. II კლასი
- ,,ლიტერატურული სასამართლო" . VII კლასი
- ,,უახლესი ისტორიის სისხლიანი ისტორია" VIII კლასი
- ,, მწვანე გაკვეთილები გარდენიაში". II კლასები
- ,,ზოოგაკვეთილები" . II კლასები

<u>სკოლის პროექტები:</u>

- ინტელექტუალური თამაშები I –X კლასები;
- სასწავლო შემოქმედებითი კონფერენციები (სხვადსხვა საგნებში) II –XI კლასები;
- სახალწლო კარნავალი ,,ჩვენ წარმოვადგენთ მსოფლიოს" ;
- ინგლისურენოვანი სპექტაკლი I კლასი;
- სკოლის სამეცნიერო პიკნიკი – ,,სახალისო ექსპერიმენტები" VII –VIII კლასები;
- კარლ პოპერის დებატები აქტუალურ თემებზე VII –X კლასები;
- ტურნირი საბუნებუნებისმეტყველო საგნებში IX კლასები.
- ესპანეთის დღეები საქართველოში IX –XII კლასები
- კიევის 176 გიმნაზიისა და სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია–ჯესსის ერთობლივი პროექტი ,,დონ კიხოტის" ორიგინალში კითხვა. IV –XII კლასები
- მათემატიკური ვიქტორინა . III კლასები
- მათემატიკური საღამო. IV-V კლასები

- ლიტერატურული სალონი ,,ნოსტალგია“ . VII – X კლასები
- მხიარული სტარტები. I - IV

<u>რეგიონული პროექტები:</u>

- ილიას უნივერსიტეტისმიერ ორგანიზებული პროექტი ,, სამეცნიერო პიკნიკი“,
- ილიას უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული პროექტი ,,ჯაჭვური რეაქცია“;
- გაეროს მიერ ორგანიზებული პროექტი ,,გაერო და საქართველო „ IX კლასი;
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ ორგანიზებული მასწავლებელთა კონფერენია, სკოლის მიერ წარდგენილი პროექტი ,,დედამიწა – მზის სისტემის გულია“ ;
- თსუს მიერ ორგანიზებული პროექტი –,,შექმენი ნაძვის ხე ნარჩენებისგან“; VII –VIII კლასი
- თსუს მიერ ორგანიზებული პროექტი ,, ბაღის ფრინველთა საათი'' VII –VIII კლასი
- მასწავლებლის პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო პროექტი ,,The Words Largest Lesson”. სკოლის მიერ წარდგენილი პროექტი ,,მსოფლიოს 17 გლობალური პრობლემა“ (ინგლისურ ენაზე)
- არასამთავრობო ორგანიზაციის ,,ეკოხედვის“ მიერ ორგანიზებული პროექტი ,,ეკოვიზია“ XI კლასი;
- არასამთავრობო ორგანიზაციის ,,ეკოხედვის“ მიერ ორგანიზებული პროექტი ,,დავასუფთავოთ დედამიწა“
- საგანმნათლებლო ორგანიზაცია ,, ნიუ–პრაიმის“ მიერ განხორციელებული პროექტი ,,მათემატიკური ჭიდილი '' . (VIIკლასმა მოიპოვა ოქროს თასი)
- პრეზიდენტის ფონდისა და ,,დემოკრატიული ლაბორატორიის“ მიერ განხორციელებული პროექტი ,,მე და კონსისტუცია“. IX – X კლასები
- პრეზიდენტის ფონდისა და ,,დემოკრატიული ლაბორატორიის“ მიერ განხორციელებული პროექტი ,,მე და არჩევნები“. IX – XI კლასები

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერებისა და სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროების მიერ ორგანიზებული სპორტული პროექტი კოკაკოლას თასზე. VI - VII კლასები

<u>საერთაშორისო პროექტები</u>

- ნატოს და ევროკავშირის ინტეგრაციის ცენტრის მიერ ორგანიზებული პროექტი ,,მასწავლებელი მეგზური ევროპისკენ“ სკოლის მიერ წარდგენილი პროექტი ,, საქართველო და ევროკავშირი ბუნების სადარაჯოზე“
- საერთაშორისო საბუნებისმეტყველო კონფერენცია ICYS. თურქეთი
- IEARN –ის მიერ ორგანიზებული პროექტი ,,ჩემი გმირი“ .
- ონლაინ პროექტი CANVAS . (მონაწილეები –მოსწავლეები და მასწავლებლები)
- ონლაინ პროექტი COURSERA (მონაწილეები – მასწავლებლები)
- მასწავლებლის პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო პროექტი ,,e-TWINNING“
- ,,გაეროს მოდელირება“. ნიუიორკი
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ორგანიზებული ახალგაზრდა გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსი ,,ლეონარდო დავინჩი“
- ათასწლეულის გამოწვევის ფონდისა და ამიერიკის საელჩოს მიერ ორგანიზებული პროექტი ,,ათასწლეულის ინოვაციის კონკურსი“

<u>ოლიმპიადები</u>

- სასკოლო ოლიმპიადა საბუნებისმეტყველო საგნებში . (მეორე ადგილის მფლობელები: ბიოლოგიის 1 გუნდი – 3 მოსწავლე; მეორე, მესამე ადგილის მფლობელები: ფიზიკი 2 გუნდი – 3 მოსწავლე, 3 მოსწავლე)
- ინგლისური ენის ოლიმპიადა. გმარჯველი 1 მოსწავლე
- იუსტიციის სახლის საზაფხულო სასწავლო ცენტრის შესარჩევი ტური. გამარჯვებული 3 მოსწავლე.

<u>მოსწავლეთა მიერ განხორციელებული კვლევები:</u>

- ეკოლოგიურად უსაფრთხო ნაგავსაყრელების მოწყობა IX კლასი
- გამოვკვებოთ მსოფლიო IXკლასი
- მწვანე გათბობა IX- X კლასი

<u>მასწავლებლების მიერ განხორციელებული კვლევები</u>

- ხარისხის მართვის მენეჯერის კვლევა (მიმართულება: saswavlo procesi კვლევა: ესგ-ს შედეგების მიღწევა. გამჭოლი კომპეტენციები)
- სკოლის ფსიქოლოგის კვლევა (კვლევის მიზანი: კორელაცია თვითშეფასებასა და აკადემიური მოსწრების დონეს შორის)
- სკოლის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის ხატია ხატიაშვილის კვლევა (მასწავლებელთა თანამშრომლობის გაუმჯობესება PBL - ით (Project – Based - Learning) აია-ჯესსის მაგალითზე)

კონკურსებში გამარჯვებულები

- ვიზიტი – ნიუიორკი . გამარჯვებული 2 მოსწავლე. ,,გაეროს მოდელირება“. .

- ვიზიტი – ამერიკის შეერთებული შტატები. არიზონას შტატი . ქ.ფენიქსი. გრამპრი – 3 მოსწავლე. მესამე ადგილი – 2 მოსწავლე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ორგანიზებული ახალგაზრდა გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსი ,,ლეონარდო დავინჩი“
- ვიზიტი – ამერიკის შეერთებული შტატები. ფლორიდის შტატი. NASA – ას კოსმოსური ცენტრი. პრველი ადგილი – 4 მოსწავლე. ათასწლეულის გამოწვევის ფონდისა და ამიერიკის საელჩოს მიერ ორგანიზებული პროექტი ,,ათასწლეულის ინოვაციის კონკურსი“

საერთაშორისო სერთიფკატები

- კემბრიჯის საერთასორისო სერთიფიკატი – PET . (2015–2016 სასწავლო წელს აღნისნული სერთიფიკატი მოიპოვა 28 მეცხრე კლასელმა მოსწავლემ)
- კემბრიჯის საერთასორისო სერთიფიკატი – FCE . (2015–2016 სასწავლო წელს აღნისნული სერტიფიკატი მოიპოვა 12 მეთერთმეტე კლასელმა მოსწავლემ)
- IEARN –ის საერთაშორისო სერთიფიკატი მოიპოვა 6 მერვეკლასელმა მოსწავლემ
- საერთაშორისო ონლაინ პროექტში ,, CANVAS“ სერთიფიკატი მოიპოვა 2 მოსწავლემ და 5 მასწავლებელმა
- საერთაშორისო ონლაინ პროექტში COURSERA სერთიფიკატი მოიპოვა 3 მასწავლებელმა

გაცვლითი პროგრამები

- თანამშრომლობა ქ.კიევის 176 ესპანური ენის გაძლიერებულ სკოლათან
- თანამშრომლობა აზერბაიჯანის ზარიფ ალიევას სახელობის გიმნაზიასთან
- თანამშრომლობა მემორანდუმის ფარგლებში ლონდონის წმინდა გიორგის სახელობის SGI ენის ცენტრთან.
- თანამშრომლობა მემორანდუმის ფარგლებში COLEGIO DELIHES სალამანკას სასწავლო ცენტრთან.

კურსდამთავრებულთა წარმატებები

- სკოლის ყველა კურსდამთავერბული სწავლას აგრძელებს საქართველოს და საზღვარგარეთ უმაღლეს სასწავლებლებში
- 201 5 –2016 სასწავლო წელს კურსდამთავებულებიდან 4მოსწავლემ მიიღო 100% გრანტი; 4 მოსწავლემ 70% გრანტი; 9 მოსწავლემ 50%;

მოწვეული უცხოელი სპეციალისტები

- სკოლა ყოველწლიურად აფორმებს ხელშეკრულებას უცხოელ სპეციალისტებთან

თანამშრომლობითი გარემო

- მასწავლებელთა პროფესიული განვითრების ხელშეწყობა დირექციის მხრიდან
- პროფესოინალი/ პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული მასწავლებელები. სქემაში ჩართული პედაგოგები
- მასწავლებლების საჭიროებების კვლევა კათედრებზე
- სკოლის ბაზაზე დაგეგმილი სემინარები/ ტრენინგები მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისათვის
- მოსწავლეთა შედეგების ანალიზი , გაზიარება კათედრების მიხედვით
- კათედრების მიხედვით გამოცდილების გაზიარება
- ბელორუსიის ქ. ბობრუისკის #2 გიმნაზიასა და სერვანტესის სახელობის გიმნაზია აი–ჯესსის ინგლისური ენის კათედრის მიერ ორგანიზებული სკაიპ – გაკვეთილების ერთობლივად დაგეგმვა/ განხორციელება/ანალიზი
- კემბრიჯის საერთაშორისო ვებინარში მონაწილეობა (10 ინგლისურის პედაგოგი). გამოცდილების გაზიარება /განხორციელება
- მაკმილანის მიერ ორგანიზებულ ტენინგ კონფერენციებზე მიღებულ გამოცდილების გაზიარება/განხორციელება
- მასწავლებლების წლიური ანგარიშების მომზადება/გაზიარება
- ინტეგრირებული გაკვეთილების დაგეგმვა/განხორციელება/ანალიზი

მოსაწვლეებისა და მასწავლებლების მიერ, ერთობლივად შექმნილი სასწავლო რესურსები

- ანიმაციური ფილმები ,, ბერძნული მითები“ .II კლასები (8 ფილმი)
- პოსტერი – ,, სიმბოლოები“. II კლასი
- დედამიწის ადგილი კოსმოსში . II კლასი
- ოკეანეები და კონტინენტები. II კლასი
- წელიწადის დროები. IIკლასები
- ელექტრონული სასწავლო რესურსები ბიოლოგიაში. XIკლასი
- მოდელები ბიოლოგიაში. VIII – IX კლასები
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ეკოტურიზმის სამარშრუტო რუკა.
- ინგლისური ენის ,,სახალისო გრამატიკა''. VIIIკლასი

მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები

- აინშტაინის საბუნებისმეტყველო ლაბორატორია
- ილიას უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო კათედრასთან თანამშრომლობა (გაფორმებულია მემორანდუმი)
- სენსორული საზომი ხელსაწყოები
- კომპიუტერები, ბუქები
- პროექტორები
- ბიბლიოთეკა
- სპორული დარბაზი, მოედანი, სპორტული ინვენტარი
- აუდიო–ვიდეო სასწავლო მასალები
- კარგად მოწყობილი ინფრასტრუქტურა

- ადამიანური რესურსი:

კლასგარეშე ღონისძიებების მნეჯმენტის სრულყოფა

- არაფორმალური განათლების მიზნით დაგეგმილი ღონისძიებები დაიგეგმება სასწავლო პროცესის შემდეგ და შაბათ – კვირას.
- სკოლა მენეჯმენტის ეფექტურად განხორციელებისათვის ამატებს სასწავლო პროცესის კოორდინატორის შტატს.

საზაფხულო და ზამთრის შემეცნებითი ბანაკები

- სკოლა სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახავს საზაფხულო და ზამთრის შემეცნებითი ბანაკების ორგანიზების და განხორციელების აქტივობებს.
- სკოლა აქტიურად გამოიყენებს საერთაშორისო კავშირების იმისათვის რომ დაინტერესებული მოსწავლეები ორგანიზება გაუწიოს საერთაშორისო ბანაკებს

რეგიონალური და საერთაშორისო კონკურსების განხორციელება

- სკოლა ორგანიზებას გაუწევს რეგიონალურ კონკურსებს:
  BE THE BEST (ინგლისურ ენაში)
  ,,ევრიკა (მათემატიკა)
  ,,ეკოტურნირი“ (საბუნებიმეტყველო საგნები)
- აღნიშნული პროექტების განსახორციელებლად სკოლას გააჩნია ადამიანური და ფინანსური რესურსი
- გამარჯვებულებისათვის სკოლა უზრუნველყოფს ორკვირიან სასწავლო კურსს, პარტნიორ ენის ცენტრებში , საზაფხულო ბანაკების საგზურებს, სხვადსხვა ფასიან საჩუქრებს

სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა

სტრატეგიული მიზანი	1. ინფრასტრუქტურის განვითარება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა									
მიზნის მიღწევის საშუალებები	განსახორციელებელი აქტივობები	პასუხისმგებელი პირი/ პირები ან/და სტრუქტურული ერთეულები	2022/2023		2023/2024		2024/2025		2025/2026		2026/2
			2022	2023	2023	2024	2024	2025	2025	2026	2026
1.1. ტექნოლოგიური ბაზის განახლება/ გაუმჯობეს ება	ტექნოლოგიური ბაზის გაძლიერების საჭიროებების დადგენა, შესაბამისი შესყიდვების განხორციელება	დირექტორი, ფინანსური დირექტორ, ბუღალტერი, ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერი,									
1.2.სპორტული ინფრასტრუქტურის განახლება	საჭიროებების კვლევა და შესაბამისი შესყიდვების განხორციელება	დირექტორი, ფინანსური დირექტორ, ბუღალტერი, მენეჯერი, ფიზიკური აღზრდის/სპორტ ის მასწავლებელი									
1.3. სასკოლო ინვენტარის განახლება- შეძენა	სასკოლო ინვენტარის სისტემატიური შემოწმება და განახლება- შეძენის საჭიროებების დადგენა	დირექტორი, ფინანსური დირექტორი, ბუღალტერი,									
1.4. სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის ადაპტირებული გარემოს გაუმჯობესება	საჭიროებების კვლევა და სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის ადაპტირებული გარემოს გასაუმჯობესებლად	დირექტორი, ფინანსური დირექტორი, ბუღალტერი,									

1.5.მიმდინარე სარემონტო სამუშაოების განხორციელებ ა	საჭიროებების კვლევა, ფინანსების გამოყოფა და სარემონტო სამუშაობის დაგეგმვა	დირექტორი, ფინანსური დირექტორი, ბუღალტერი									
1.6.სამედიცინო კაბინეტის პერიოდული შევსება პირველადი დახმარებისა თვის აუცილებელი პრეპარატები თა და ინვენტარით	საჭიროებების კვლევა, ფინანსების გამოყოფა და შესყიდვის დაგეგმვა	დირექტორი, ფინანსური დირექტორი, ბუღალტერი, ექიმი									
1.7. სასწავლო რესურსებისა და საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდისშეძენა, განახლება	საჭიროებების კვლევა, ფინანსების გამოყოფა და შესყიდვის დაგეგმვა	დირექტორი, ფინანსური დირექტორი, ბუღალტერი, ბიბლიოთეკარი									
1.8.საკლასო ოთახების თვალსაჩინოებითა და სხვა საჭირო ინვენტარით აღჭურვა, საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსების	საჭიროებების კვლევა, ფინანსების გამოყოფა და შესყიდვის დაგეგმვა	დირექტორი, ფინანსური დირექტორი, ბუღალტერი, მასწავლებლები, დამრიგებლები									

სტრატეგიული მიზანი	2. საზოგადოების მართვასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები/პროცედურები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია													
მიზნის მისაღწევი საშუალებები	განსახორციელებელი აქტივობები	პასუხისმგებელი პირი/პირები ან/და სტრუქტურული ერთეულები	2022-2023		2023-2024		2024-2025		2025-2026		2026-2027		2027-2028	
			2022	2023	2023	2024	2024	2025	2025	2026	2026	2027	2027	2028
2.1.ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბება/გადახედვა/დახვეწა/შესაბამისი ცვლილებების გატარება	დოკუმენტაციის რევიზია, გადახედვა, ცვლილებების შეტანა ან სრულად განახლება	დირექტორი, შესაბამისი კომპეტენციის მქონე თანამშრომელი												
2.2. სკოლის მისიის, დებულებების, შინაგანაწესის და სხვა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციის გადახედვა საჭიროებისამებრ და დახვეწა	არსებული მდგომარეობის ანალიზი, საჭიროებების გამოვლენა, გადახედვა, ცვლილებების შეტანა	დირექტორი, ხარისხის მართვის მენეჯერი												

2.3. საქმის წარ მოების ერთიანი სისტემის წარმოები ს წესის მუდმივი განახლებ ა საჭიროებ ისამებრ და დახვეწა	რევიზია, გადახედვა, ცვლილებების შეტანა ან სრულად განახლება	დირექტორი, საქმის მწარმოებე ლი												
2.4. მასწავლე ბლების შერჩევა	საჭიროების შემთხვევაში, ვაკანსიის გამოცხადება, გასაუბრებების ორგანიზება	დირექტორთა საბჭოს წევრი, დირექტორი, ხარისხის მართვის მენეჯერი შესაბამისი დეპარტამენტის ხელმძღვანელი ხელმძღვანელ ი												
2.5. მასწავლე ბლებთან და თანამ შრომლებ თან შრომითი ხელშეკრულებე ბის გაფორმება	შრომითი ხელშეკრულების პროექტების მომზადება	დირექტორთა საბჭოს წევრი, შესაბამისი დეპარტამენტის ხელმძღვანელი ხელმძღვანეი												

2.6. ერთწლიანი სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებ ა/დამტკი ცება და მასში საჭიროებ იდან გამომდინ არე ცვლილებ ის შეტანა და დახვეწა	წინა სასწავლო წლის სირთულეების იდენტიფიცირება , ანალიზი და სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის მომზადება	დირექტორთა საბჭოს წევრი დირექტორი												
2.7. საჭიროებ ის შემთხვევ აში, სპეციალ ური საგანმანა თლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე ებისთვის სპეციალ ური პროგრამის შემუშავება და დახვეწა	საჭიროების კვლევა, პროგრამის შემუშავება	დირექტორი, მასწავლებელი, ფსიქოლოგი												

2.8. მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ან ხელშეკრულებებ ის გაფორმება	მომსახურების ხელშეკრულები პროექტების შემუშავება	დირექტორთა საბჭოს წევრი												
2.9. სადამრიგებლო პროგრამების შემუშავება, განახლება-დახვეწა	გამოცდილების ურთიერთგაზიარება, არსებული დოკუმენტაციის გადახედვა	დირექტორი, ხარისხის მართვის მენეჯერი დამრიგებლები												

სტრატეგიული მიზანი	3. საზოგადოების მართვასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები/პროცედურები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია												
მიზნის მიღწევის საშუალებები	განსახორციელებელი აქტივობები	პასუხისმგებელი პირი/პირები ან/და სტრუქტურული ერთეულები	2022-2022	2023-2023	2023-2024	2024-2024	2025-2025	2026-2027		2026-2027	2027-2028		2027-2028
3.1. საერთაშორისო მათემატიკა (ინგლიშ ბუქ ედუქეიშენ) შემოთავაზებული პროგრამის მიხედვით	სასწავლო პროცესის დაგეგმვა, პილოტირება, დანერგვა შესაბამისი კადრების მოძიება	დირექტორი, საერთაშორისო მიმართულების ხელმძღვანელი											
3.2. ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლება	შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრების შენარჩუნება, სასწავლო პროგრამაში ინგლისური ენის გაძლიერებულად	აკადემიური დირექტორი, საერთაშორისო მიმართულების ხელმძღვანელი, მასწავლებლები											
3.3. უცხოური ენების გაძლიერებული სწავლება	შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრების შენარჩუნება, სასწავლო პროგრამაში გაძლიერებულად სწავლების ასახვა	დირექტორი, მასწავლებლები											

3.4. ინფორმაციულ-ტექნოლოგიების და სწავლების ინტერაქტიული მეთოდების გამოყენება სასწავლო პროცესში	შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრების შენარჩუნება, სასწავლო პროგრამაში გაძლიერებულად სწავლების ასახვა, ტექნიკური ბაზის განვითარება	დირექტორი, მასწავლებლები, ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი												
3.5. სასწავლო პროცესის მონიტორინგის მექანიზმების დანერგვა და მოსწავლეთა მიღწევების შეფასების მონიტორინგი	არსებული მდგომარეობის ანალიზი, საჭიროებების კვლევა	დირექტორი,												
3.6. გაკვეთილებზე დასწრება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება	გაკვეთილებზე დასწრების გრაფიკის შემუშავება, შეფასების ფორმის შემუშავება	დირექტორი, ხარისხის მართვის მენეჯერი შესაბამისი დეპარტამენტის ხელმძღვანელი შეფასების ჯგუფის წევრი												

3.7. მოსწავლეთა მიღწევების დინამიკის შესწავლა და პერიოდულად მონიტორინგის ჩატარება	არსებული მდგომარეობის ანალიზი, საჭიროებების კვლევა	დირექტორი, ხარისხის მართვის მენეჯერი, დამრიგებლები												
3.8 მოსწავლის შეფასებისა და გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალის ელექტრონული (EDU PAGE პროგრამის გამოყენება/მუდმივი გაუმჯობესება და სასწავლო პროცესში მისი გამოყენების დანერგვა	საჭიროებების ანალიზი, რეკომენდაციების მიცემა მასსწავლებლებისა და დამრიგებლებისთვის, პროგრამული გამართვის უზრუნველსაყოფად შესყიდვის დაგეგმვა	დირექტორი, ფინანსური დირექტორი, ბუღალტერი, დირექტორის მოადგილე, IT მენეჯერი დამრიგებელი												
3.10. მრავალფეროვანი დამატებითი საგანმნათლებლო და სააღმზრდელო მომსახურეობა;	მოსწავლეთა ინტერესების კვლევა და შესაბამისი დამატებითი მომსახურებების შეთავაზება	მასწავლებლები დირექტორი ხარისხის მართვის მენეჯერი												

სტრატეგიული მიზანი	4. უსაფრთხო და ორგანიზებული გარემო												
მიზნის მისაღწევი გზები	განსახორციელებელი აქტივობები	პასუხისმგებელი პირი/პირები ან/და სტრუქტურული ერთეულები	2022-2023		2023-2024		2024-2025		2025-2026		2026-2027		2027-2028
			2022	2023	2023	2024	2024	2025	2025	2026	2026	2027	2027
4.1.სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის ნორმების დაცვა	უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირების მუდმივად ინფორმირება და მათი საქმიანობის კონტროლი	უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მენეჯერი, უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის სპეციალისტი, დარაჯი											
4.2.სკოლის ტერიტორიაზე პირთა გადაადგილების კონტროლი, ტერიტორიის დაცვა, ვიდეო კამერების მონიტორინგი	პასუხისმგებელი პირების მონიტორინგ ი	დარაჯი, უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის სპეციალისტი,											
4.3. საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მართვის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება	შესაბამის უწყებებთან კომუნიკაცია	დირექცია											

4.4. სხვადასხვა ინფექციის (მათ შორის covid-19) ინფექციის გავრცელების პრევენცია	სკოლაში სისუფთავის უზრუნველყოფა, შესაბამისი სხნარებით პერიოდულად დამუშავება, საკლასო ოთახების მუდმივი განიავება	დირექტორი ექიმი, დამლაგებლები, ლოჯისტიკის მენეჯერი											

სტრატეგიული მიზანი	5. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება												
მიზნის მისაღწევი გზები	განსახორციელებელი აქტივობები	პასუხისმგებელი პირი/პირები ან/და სტრუქტურული ერთეულები	2022-2023		2023-2024		2024-2025		2025-2026		2026-2027		2027-2
			2023	2023	2024	2024	2025	2025	2023	2023	2024	2024	2025
5.1.ადმინისტრაციული პერსონალისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისათვ ის აუცილებელი საჭიროებებ ის დადგენა;	პერსონალის შეფასებები; მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვები და შედეგების ანალიზი;	დირექტორი, ხარისხის მართვის მენეჯერი											
5.2.მაღალი კვალიფიციური კადრების შენარჩუნება და მოზიდვა	საკადრო პოლიტიკის შემუშავება და დანერგვა	დირექტორი											

5.3. მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების კვლევა, მათი განვითარებისთვის საჭირო ტრენინგების, სემინარების, სამუშაო შეხვედრების დაგეგმვა	საჭიროებების კვლევა, ინფორმაციის მოძიება და გავრცელება	დირექტორი, ხარისხის მართვის მენეჯერი დეპარტამენტის ხელმძღვანელები											
5.4. კონფერენციებსა და სხვა საგანმანათლებლო ღონისძიებებში მასწავლებელთა ჩართულობის ხელშეწყობა	ინფორმაციის დროულად მიწოდება, მასწავლებელთა წახალისება პროფესიული განვითარების მიზნით	დირექტორი, ხარისხის მართვის მენეჯერი დეპარტამენტის ხელმძღვანელები მასწავლებლები											